

2022 წლის 21 და 22 ნოემბერს, თბილისში ჩატარდა რიგით მე-8 ინტერნეტმმართველობის ფორუმი. საზოგადოების წინაშე, მისასალმებელი სიტყვით, პირველი წარსდგა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ბატონი გურამ გურამიშვილი.

The 8th Internet Governance Forum took place in Tbilisi on November 21-22, 2022. The event kicked off with a welcome speech by Mr. Guram Guramishvili, the Deputy Minister of Economy and Sustainable Development of Georgia, who addressed the audience first.

...

გურამ გურამიშვილი

ბატონმა გურამმა მიულოცა ფორუმის გახსნა მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას. მოკლედ ისაუბრა ასიმეტრიაზე, რომელიც მცირე ბიზნესსა და დიდ ორგანიზაციებს შორის არსებობს ინტერნეტთან წვდომის მიმართულებით. ასევე აღნიშნა, რომ ცნობიერების ამაღლება მოსახლეობსა და მცირე ბიზნესებისთვის, ციფრული უნარების განვითარების კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია. გამოსვლის ბოლოს, ისაუბრა „ოფენეის“ პროექტზე, რომლის მიხედვითაც, 2025 წლისათვის დასრულდება ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის ინტერნეტით უზრუნველყოფა და აღარ იარსებებს ე.წ თეთრი წერტილები.

Guram Guramishvili

During the opening ceremony of the forum, Mr. Guram Guramishvili extended his congratulations to the participants and the public. He touched upon the issue of unequal Internet access between small businesses and larger organizations, and emphasized the significance of promoting digital literacy among the population and small enterprises. He also introduced the "Opennet" initiative, which aims to provide Internet coverage to the entire country by 2025 and eliminate any areas without connectivity, also known as "white dots." Mr. Guramishvili concluded his speech on a positive note, expressing his optimism that the Forum would contribute to addressing the challenges and opportunities of Internet governance.

ეკატერინე სეფაშვილი

ბატონი გურამის შემდეგ, სიტყვა გადაეცა საქართველოს პარლამენტის წევრს, ქალბატონ ეკა სეფაშვილს. მან ისაუბრა საქართველოს დარგობრივი ეკონომიკის, ეკონომიკური კომიტეტის და IGF ფორუმის თანამშრომლობაზე, რომლის მიხედვითაც პარლამენტის მიერ დაინიცირდა მოკვლევა, საქართველოში ინტერნეტის განვითარების და მისი პრობლემების მიმართულებით. ქალბატონი ეკამ აღნიშნა, რომ ამ კუთხით გამოიყო ოთხი ძირითადი საკითხი, ესენია: მოქალაქეთა ინფორმირებულობა და მათი ციფრული განათლება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა, ბიზნესის მზაობა და საჯარო სერვისების გაციფრულება. გამოსვლის ბოლოს, მოკლედ ისაუბრა ციფრულ სამყაროში დეზინფორმაციის პრობლემაზე, რომელიც გამოწვევად რჩება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოსთვის.

Ekaterine Sefashvili

Following Mr. Guramishvili's speech, the member of the Georgian Parliament, Mrs. Ekaterine Sefashvili, took the floor. She spoke about the cooperation between the Sectoral Economy and Economic Committee of Georgia and the IGF Forum, which resulted in the initiation of an investigation into the development of the Internet in Georgia and its associated challenges. Ms. Sefashvili identified four key issues that were found during the investigation: citizen awareness and digital education, infrastructure adequacy, business preparedness, and digitization of public services. In addition, she briefly touched upon the problem of disinformation in the digital world, which is a challenge not only for Georgia, but for the global community as well.

ეკა იმედაძე

ფორუმის შემდეგი გამომსვლელი იყო კომუნიკაციების კომისიის წევრი, ქალბატონი ეკა იმედაძე, რომელმაც მიულოცა მონაწილეების ახალი ფორუმის გახსნა. ასევე, ხაზი გაუსვა ახალგაზრდული პლათფორმის შეერთებას 2022 წლის ღონისძიებაზე. მან ისაუბრა, კომისიის საქმიანობაზე და აღნიშნა სატელემუნიკაციო ბაზრის ჰოლიტიკური კვლევა, რომელიც მომხმარებლებისთვის მიწოდებულ მომსახურებებს შესწავლას გულისხმობს და ევროკავშირთან თანამშრომლობით ხორციელდება. ქალბატონმა ეკამ, შეუხო სტარლინგის პროვაიდერს და აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში იგი ოპერაციებს დაიწყებს საქართველოს მასშტაბით. ასევე ხაზი გაუსვა, მეხუთე თაობის სერვისები და ეკონომიკის სამინისტროს ერთად უნივერსალური მომსახურებების დირექტივის დანერგვასა და კანონში შესატან ცვლილებებზე ე.წ „სტიკპოლდერების“ ინფორმირებულობას. გამოსვლის ბოლოს, ისაუბრა ფორუმის და მასში განხილული თემების მნიშვნელობაზე, ქვეყნის ციფრული განვითარების მიმართულებით.

Eka Imedadze

Mrs. Eka Imededze, a member of the Communications Commission, took the stage as the next speaker of the forum. In her opening remarks, she congratulated the attendees on the commencement of the new forum and highlighted the participation of the youth platform at the 2022 event. Ms. Imadedze elaborated on the commission's activities, particularly its comprehensive research on the telecommunications market in collaboration with the European Union, which includes an assessment of services offered to consumers. Additionally, she discussed the upcoming operations of the Starling provider across Georgia, the introduction of fifth-generation services, and the Ministry of Economy's universal services directive. Furthermore, Ms. Imededze emphasized the importance of raising awareness among stakeholders regarding the changes to be made in the law. Finally, she expressed her belief in the forum's significance and its ability to contribute to the country's digital development.

დევიდ ფროუჩი

ინტერნეტის საზოგადოება (ISOC), ევროპული მთავრობისა და რეგულატორული საკითხების უფროსმა დირექტორმა, ბატონმა დევიდ ფროუჩიმ მადლობა გადაუხადა IGF-ს ფორუმზე მოწვევისათვის. ისაუბრა საქართველოში ვიზიტის შესახებ და აღნიშნა ძლიერი ინტერნეტ საზოგადოება. ასევე, პროექტები, რომლებიც ქვეყანაში ხორციელდება ამ მიმართულებით. გამოსვლის ბოლოს, საქართველოს ინტერნეტ ჰაბად გადაქცევის პოტენციალს გაუსვა ხაზი. ასევე, მოკლედ შეუხო ინტერნეტ საზოგადოების სამომავლო გეგმებს, რომლებიც ორმხრივი თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს.

David Frautschy

In his speech, Mr. Frautschy, the Senior Director of European Government and Regulatory Affairs at the Internet Society (ISOC), expressed gratitude to the IGF for inviting him to the forum. He shared his positive impressions of his visit to Georgia and acknowledged the presence of a strong Internet community in the country. Mr. Frautschy also highlighted the ongoing projects being implemented in Georgia to foster Internet development. He emphasized the potential for Georgia to become an Internet hub, considering its favorable conditions and environment. In conclusion, he mentioned the importance of mutual cooperation among the Internet community and briefly discussed the future plans that would contribute to further advancements in the field.

ეკა ყუსაბიძე

ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ნაწილის მოდერატორი იყო კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ქალბატონი ეკა ყუსაბიძე. მან აღნიშნა, რომ უთანასწორობა ინტერნეტთან ხელმისაწვდომობის კუთხით არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვის დიდი გამოწვევაა. ასევე, ისაუბრა იმ საქმიანობის შესახებ, რომელთაც სამინისტრო ახორციელებს ამ მიმართულებით. საკითხთან დაკავშირებით, გამოყო ე.წ. სახელმწიფო ინტერნეტიზაციის და საქართველოს ფართოზოლოვანი ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები. გამოსვლის ბოლოს, საქართველოს ციფრულ ჰაბად გადაქცევის პოტენციალს გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ამ მხრივ განვითარებას, გეოგრაფიული მდებარეობა და კარგი ბიზნეს წარმოების გარემოს არსებობა უწყობს ხელს.

Eka Kusabidze

Mrs. Eka Kusabidze, the head of the Department of Communication, Information, and Modern Technologies, moderated the Internet access part of the forum. She acknowledged that unequal access to the Internet is a significant challenge faced not only by Georgia but also by the world. Mrs. Kusabidze then discussed the Ministry's initiatives in this area, highlighting the state's internetization program and Georgia's broadband internet infrastructure development projects. Towards the end of her speech, she emphasized Georgia's potential to become a digital hub and mentioned that its geographical location and favorable business environment are conducive to its digital growth.

მარიამ სულაბერიძე

შემდეგი გამომსვლელი იყო სსიპ "ოფენენტიის" დირექტორი, ქალბატონი მარიამ სულაბერიძე. მან ისაუბრა „Log in Georgia“-ს პროექტის შესახებ, რომელიც მსოფლიო ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის თანადგომით ხორციელდება. ასევე აღნიშნა, რომ „ოფენენტი“ არის საბითუმო კომპანია, რადგან სახელმწიფო არ შევიდეს კონკურენციაში კერძო ბიზნესთან. ქალბატონმა მარიამმა, ასევე ისაუბრა უკვე განხორციელებული პროექტებზე, რომლებიც ოზურგეთის და ქობულეთის ინტერნეტიზაციას გულისხმობს და საზოგადოებას მომავალი გეგმების შესახებ უამბო, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების დაფარვას ემსახურება.

Mariam Sulaberidze

Mrs. Mariam Sulaberidze, the director of "Opennet," took the floor as the next speaker. She discussed the "Log in Georgia" project, which receives support from the World Bank and the European Investment Bank. Mrs. Sulaberidze emphasized that "Offennet" is a wholesale company and that the state should not compete with private businesses. She also provided updates on the already executed Internetization projects in Ozurgeti and Kobuleti and shared the company's future plans, which aim to provide internet coverage to different parts of Georgia.

ალექსანდრე ქარუმიძე

ფორუმის შემდეგი გამომსვლელი იყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ბატონი ალექსანდრე ქარუმიძე, რომელმაც კომისიის მუშაობის ორ ძირითად მიმართულებაზე ისაუბრა. ესენია: ელექტრომაგნიტური სპექტრის განაწილება და ბაზრის რეგულირება. მან აღნიშნა, რომ ამ საკითებზე მუშაობისას კომისია იყენებს ევროპულ გამოცდილებას, მუდმივად ნერგავს სიახლეებს, რომ სხვადასხვა დაინტერესებულ კომპანიებსა თუ ინვესტორებს პრობლემა არ შეექმნათ ქართულ ბაზარზე მუშაობისას. ასევე, ბაზრის რეგულირების კუთხით, მან გამოყო კვლევა, რომლის მიხედვითაც კომისიას საშუალება ექნება ჩაერიოს პროცესებში, კომპანიებს შორის კონკურენციის გაზრდისთვის. გამოსვლის ბოლოს, ბატონმა ალექსანდრემ, წარადგინა პრეზენტაცია ფიქსირებული და მობილური ინტერნეტის განვითარების შესახებ.

Alexander Karumidze

The forum's subsequent speaker was Mr. Aleksandre Karumidze, the head of the spectrum and technology department at the National Communications Commission of Georgia. He highlighted the two main areas of the commission's work, namely the distribution of electromagnetic spectrum and market regulation. He stated that the commission draws on European experience to address these issues and implements innovations to ensure that interested companies and investors face no obstacles while operating in the Georgian market. Furthermore, he emphasized a study that the commission conducted to enhance competition among companies in terms of market regulation. Towards the end of his speech, Mr. Aleksandre presented on the fixed and mobile Internet's development.

მარიამ მჭედლიძე

ფორუმის შემდეგი გამომსვლელი იყო ჩართე.გეს წარმომადგენელი, მარიამ მჭედლიძე. ქალბატონმა მარიამმა ისაუბრა იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც რეგიონებში მცხოვრები ადამიანები აწყდებიან ინტერნეტთან წვდომის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ მზად არიან მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებლებს დაუფინანსონ ინტერნეტით სარგებლობა, მაგრამ შხირ შემთხვევაში ასეთ ადგილებში საერთოდ არ არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. გამოსვლის ბოლოს, ქალბატონმა მარიამმა ისაუბრა სამომავლო გეგმების შესახებ, რომელიც შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიებას ეხება, იმისთვის რომ ინტერნეტთან წვდომა რაც შეიძლება მეტ ოჯახს დაუფინანსონ. მისივე თქმით, ჩართე.გე იმუშავებს ცნობიერების ამაღლების

კუთხითაც, რაც ინტერნეტთან წვდომის საფრთხეებზე, მოსწავვეებისთვის ტრენინგების ჩატარებას გულისხმობს.

Mariam Mchedlishvili

The next speaker at the forum was Mariam Mchedlishvili, the representative of CharTE.ge, who discussed the challenges faced by people living in rural areas when it comes to accessing the Internet. She highlighted the lack of infrastructure in mountainous regions, which makes it difficult to provide Internet services to residents. Ms. Mariam emphasized the need to find financial resources to finance access to the Internet for as many families as possible. In addition, she stated that CharTE.ge plans to conduct training sessions to raise awareness about the dangers of using the Internet, particularly among students.

ჯემალ დამაცალაშვილი

შემდეგი გამომსვლელი ააიზ "მთის სათემო ქსელის" აღმასრულებელი დირექტორი ბატონი ჯემალ დამაცალაშვილი იყო. მან ისაუბრა, დაარსების დღიდან დღემდე განხორციელებულ საქმიანობებზე და იმ სირთულეებზე, რომელსაც ორგანიზაცია აწყდებოდა ფშავ-ხევსურეთის ინტერნეტიზაციის პროცესში. ასევე, მაღლობა გადაუხადა მცირე და საშუალო ტელეკომუნიკაციების ასოციაციას და ინტერნეტსაზოგადოებას გაწეული დახმარებისათვის. გამოსვლის ბოლოს, საზოგადოებას წარუდგინა ვიდეო რეპორაჟი ადამიანზე, რომელსაც 2020 წლამდე 17 კილომეტრის გავლა უწევდა, რომ სატელეფონო კომუნიკაცია დაემყარებინა და როგორ აღმოიფხვრა ეს პრობლემა შესაბამისი სამუშაოების ჩატარების შემდეგ .

Jemal Damatsalashvili

The next speaker was Mr. Jemal Damatsalashvili, executive director of the "Mountain Community Network". He spoke about the activities carried out since the establishment of the organization and the difficulties it faced during the process of Internetization of Pshav-Khevsureti. He also thanked the Association of Small and Medium Telecommunications and the Internet community for their assistance in overcoming these challenges. At the end of his speech, a video report was presented showcasing how the organization successfully established a telephone connection for a person who previously had to walk 17 kilometers to get one, and how this problem was resolved through their efforts.

რაც შეეხება კითხვა-პასუხის რეჟიმს, მოცემულ პანელზე გაჟღერდა შემდეგი შეკითხვები: თუ როდის იქნება 5G კავშირი ხელმისაწვდომი საქართველოში, რატომ არ ცხადდება აუქციონი ამ მიმართულებით და რა იწვევს ინტერნეტის ფასის ზრდას ყოველწლიურად?

მოცემულ შეკითხვებს უპასუხა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სპექტრისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ალექსანდრე ქარუმიძემ. მან განაცხადა, რომ 5G ქსელთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სანიტარული მოთხოვნები, რასთან დაკავშირებითაც დაწყებულია კვლევები და დასკვნის საფუძველზე დაიგეგმება 5G კავშირის

დანერგვა საქართველოში. რაც შეეხება ფასების ცვლილების ნაწილს, კომისია რეგულირებისთვის ჩაერევა იმ მაშინ, როცა ბაზარი სრულიად იქნება გამოკვლეული.

Mr. Rati, the representative of ISOC Georgia, provided a summary of the Internet accessibility panel and briefly spoke about the issues discussed. During the question-and-answer session, the head of the spectrum and technology department of the National Communications Commission of Georgia, Mr. Aleksandre Karumidze, answered questions about the availability of 5G connection in Georgia, the lack of an auction in this direction, and the reasons for the annual increase in the price of the Internet. Mr. Karumidze explained that research has been started on the sanitary requirements related to the 5G network, and that the Commission will intervene to regulate prices once the market is fully explored.

ფორუმის შემდეგი სასაუბრო თემა იყო მედია და ინფორმაციული წიგნიერების განვითარება საქართველოში, რომელის მოდერატორი კომუნიკაციების კომისიის მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსი, ქალბატონმა მარიამ დახუნდარიძე იყო.

The next topic for discussion at the forum was the development of media and information literacy in Georgia, presented by Mrs. Mariam Dakhundaridze, the head of the department for promoting media literacy development at the Communications Commission.

ნათია კუკულაძე

აღნიშნული პანელი კომუნიკაციების კომისიის წევრმა, ქალბატონმა ნათია კუკულაძემ გახსნა. მან ისაუბრა დეზინფორმაციაზე და აღნიშნა, რომ მასთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდი არის მედია წიგნიერების ამაღლება, რომელშიც კომუნიკაციების კომისია აქტიურადაა ჩაბმული. ამის შემდეგ კი, იმ ევროპული, აპრობირებული მეთოდების შესახებ, რომლებსაც ორგანიზაცია იყენებს დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. გამოსვლის ბოლოს, აღნიშნა “იუნისეფის” მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც გულისხმობს მედია წიგნიერების ინტეგრირებას ფორმალურ განათლებაში.

Natia Kukuladze

The panel on the development of media and information literacy in Georgia was initiated by Mrs. Natia Kukuladze, a member of the Communications Commission. She emphasized the importance of media literacy in combating misinformation and disinformation and highlighted the commission's active involvement in promoting it. Mrs. Kukuladze also mentioned the use of proven European methods to raise awareness and fight disinformation. She concluded by discussing a project financed by UNICEF that focuses on integrating media literacy into formal education.

ნატალია ინგოროყვა

პანელის შემდეგი გამომსვლელი მედიაწიგნიერების ექსპერტი ქალბატონი ნატალია ინგოროყვა იყო. მან ისაუბრა, მედია წიგნიერების როლზე და აღნიშნა, რომ ბოლო კვლევების მიხედვით, ამ მიმართულებით საქართველო არ არის განვითარებული. ამიტომ, საჭიროა მეტი მუშაობა სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებთან, რათა შეძლონ წაკითხულის სწორად გააზრება და

კრიტიკული აზროვნება. ქალბატონმა ნატალიამ ასევე განაცხადა, რომ ადრე საკითხი იდგა თუ რით ესწავლებინათ მედია წიგნიერება, ახლა კი ეს გარემოება შეიცვლილია, ითარგმნა შესაბამისი მასალები და საჭიროა უნივერსიტეტების და სხვადასხვა ორგანიზაციების მეტი აქტიურობა, მოსწავლეებისა თუ მასწავლებლების გადამზადებისათვის. გამოსვლის ბოლოს, ისაუბრა ფორმალურ განათლებაში შემოტანილ საგანზე, რომლის სახელმძღვანელოც შექმნის პროცესშია და თავის როლს ითამაშებს მედია წიგნიერების ამადების კუთხით.

Natalia Ingorokva

Ms. Natalya Ingorokva, an expert in media literacy, took the stage as the next speaker during the panel discussion. She delved into the significance of media literacy and observed that recent studies indicate a lack of progress in this field in Georgia. Furthermore, she underscored the imperative of engaging more intensively with schoolchildren and students to foster accurate comprehension and critical thinking skills. Ms. Natalya also mentioned the previous quandary regarding the methods of teaching media literacy, but highlighted the current shift wherein relevant materials have been translated and emphasized the necessity for increased involvement from universities and diverse organizations to equip students and educators with the required expertise. In conclusion, she addressed the incorporation of media literacy into formal education, mentioning the ongoing development of a manual that will play a pivotal role in enhancing media literacy.

სანდრო ასათიანი

შემდეგი გამომსვლელი UniLab-ის ხელმძღვანელი და ციფრული ტექნოლოგიების ექსპერტი, ბატონი სანდრო ასათიანი იყო. გამოსვლის დასაწყისში, განაცხადა, რომ საზოგადოებაში ციფრული უნარების გავითარებას ხელი პანდემიამ შეუწყო, რადგან გაკვეთილები ონლაინ ტარდებოდა და ბავშვების განათლებაში ოჯახის წევრებიც იყვნენ ჩართულები. ბატონმა სანდრომ, ასევე ისაუბრა სკოლის განათლების სისტემაში დაგეგმილ ცვლილებაზე, რომელიც მოსაწავლეებისთვის მეორე კლასიდან, კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებას გულისხმობს. მან აღნიშნა, რომ ამ საგინსათვის არ არსებობს შესაბამისი სახელმძღვანელო, რადან ბავშვებმა მიიღონ პრაქტიკული განათლება და არ უწევდეთ პარაგრაფების და სხვადასხვა მასალის დაზეპირება.

Sandro Asatiani

Mr. Sandro Asatiani, the head of UniLab and an expert in digital technology, took the podium as the subsequent speaker. In the opening remarks of his speech, he highlighted the impact of the pandemic in fostering the development of digital skills within society. With the shift to online classes, both students and their family members became actively involved in the educational process. Mr. Sandro also discussed the planned reform in the school education system, which entails the introduction of computer technologies as early as the second grade. He acknowledged the absence of a suitable manual for this subject, emphasizing the need for a practical approach to education rather than relying on rote memorization of paragraphs and diverse materials.

მარიკა სიხარულიძე

ბატონი სანდროს შემდეგ, საზოგადოების წინაშე ციფრული მოქალაქეობის სპეციალიტი ქალბატონი მარიკა სიხარულიძე წარსდგა. მან ისაუბრა ციფრულ მოქალაქეობაზე და გამოყო მისი შემადგენელი სამი კომპონენტი. ესენია: მედია და ინფორმაციული წიგნიერება, კიბერ დაცულობა და ადამიანის უფლებები ონლაინ. ქალბატონმა მაკამ აღნიშნა, რომ საქართველო 2017 წლიდან შეუერთდა ციფრული მოქალაქეობის პროგრამას და ბევრი სახელმძღვანელო თუ ე.წ. "გაიდლაინი" ითარგმნა ქართულ ენაზე და ყველა დაინტერესებულ პირს, შესაძლებლობა აქვს სრულიად უფასოდ ჰქონდეს წვდომა აღნიშნულ მასალებთან.

Marika Sikharulidze

Following Mr. Sandro, Ms. Marika Sikharulidze, a specialist in digital citizenship, introduced herself to the audience. She focused on the concept of digital citizenship and highlighted its three key components: media and information literacy, cyber security, and human rights online. Ms. Maka mentioned that Georgia has been actively participating in the digital citizenship program since 2017, and all manuals or guidelines related to this program have been translated into Georgian. Moreover, she emphasized that these valuable resources are freely accessible to anyone interested in accessing them.

მაკა მახათაძე

შემდეგი გამომსვლელი, Step IT Academy-ის დამფუძნებელი ქალბატონი მაკა მახათაძე იყო. ისაუბრა იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც აკადემია ყოველდღიურად აწყდება სხვადასხვა სასწავლო კურსით დაინტერესებულ ადამიანებთან. მან აღნიშნა, რომ ხშირ შემთხვევაში, სტუდენტებს არ გააჩნიათ საბაზისო ცოდნა და ციფრული უნარები, რომლებიც საჭიროა ამა თუ იმ პროფესიის დასაუფლებლად. ასევე განაცხადა, რომ ამ მიმართულებით ცოდნის ამაღლებისთვის ძალიან კარგია, რომ შესაბამისი საგნები სკოლებში ისწავლება. მაგრამ ამასთანავე, აუცილებელია შედარებით უფროსი ადამიანებისთვის, ციფრული უნარების განვითარება.

Maka Makhatadze

Mrs. Maka Makhatadze, the founder of Step IT Academy, took the stage as the subsequent speaker. She addressed the challenges faced by the academy in dealing with individuals interested in various courses. Mrs. Maka highlighted that, frequently, students lack the fundamental knowledge and digital skills required to excel in their chosen professions. She acknowledged the importance of incorporating relevant subjects into school curricula to enhance knowledge in this domain. However, she emphasized that it is equally crucial for older individuals who have already completed their university education to actively develop their digital skills.

მედია და ინფორმაციული წიგნიერების განვითარების პანელის დასასრულს გაქვრდა შეკითხვა, თუ იგეგმება სახელმწიფოსთან შეთანხმებული სტრატეგია მედია წიგნიერებასთან დაკავშირებით?

აღნიშნულ შეკითხვას მარიკა სიხარულიძემ უპასუხა და განაცხადა, რომ 2021 წელს დამტკიცებული კიბერუსაფრთხოების სტრატეგია მოიცავს განათლების და მედია წიგნიერების კომპონენტებს.

During the concluding moments of the panel discussion on media and information literacy development, a question arose regarding the existence of a planned strategy in collaboration with the government to address media literacy. Marika Sikharulidze responded to this query, stating that the cyber security strategy, which was approved the previous year, encompasses elements of education and media literacy.

ნიკოლოზ გაგნიძე

ფორუმის შემდეგი პანელი საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოებას შეეხებოდა, რომელსაც მოდელირება CyberTrust LLC თანადადამფუძნებელმა, ბატონმა გიორგი გურგენიძემ გაუწია. ხოლო პირველი გამომსვლელი, კიბერუსაფრთხოების ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარე, ბატონი ნიკოლოზ გაგნიძე იყო. მან ისაუბრა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომელიც საქართველოს მთავრობამ განახორციელა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. აღნიშნული ცვლილება ძირითადად შეეხო ზედამხედველ და მაკოორდინებელ ორგანოებს. ბატონმა ნიკოლოზმა ასევე ისაუბრა, ასოციაციის ინტერესებზე და განმარტა, რომ მათი მუშაობა ეხება არა მხოლოდ კრიტიკული ინფორმაციების, არამედ მოქალაქეებსა და არაკრიტიკული სუბიექტებს. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მხრიდან, მათზე შედარებით ნაკლები დაინტერესებაა.

Nikoloz Gagnidze

The following panel at the forum revolved around the information security of Georgia, with Mr. Giorgi Gurgeniidze, the co-founder of CyberTrust LLC, serving as the moderator. The initial speaker was Mr. Nikoloz Gagnidze, the chairman of the National Cyber Security Association, who discussed the significant legislative changes introduced by the Georgian government in the field of cybersecurity. These changes primarily focused on the regulatory and coordinating bodies. Mr. Nikoloz also highlighted the association's dedication to safeguarding not only critical information assets but also citizens and non-critical entities. However, he acknowledged a relatively lower level of government interest in this domain.

შალვა შალამბერიძე

პანელის შემდეგი მონაწილე საპენსიო სააგენტოს წარმომადგენელი, ბატონი შალვა შალამბერიძე იყო. მან ისაუბრა სააგენტოში განხორციელებულ ცვლილებებზე, რომლებიც სტრუქტურულ ერთეულებს და კონტროლის მექანიზმებს შეეხებოდა. ბატონმა შალვამ აღნიშნა, რომ მათგან მნიშვნელოვანი, მონაცემთა გამჟღავნების პრევენციის, CM-ის პროგრამული უზრუნველყოფის, ცვლილების და ინციდენტების მართვის ცენტალიზებული სისტემის დანერგვა იყო.

Shalva Shalamberidze

The subsequent panelist to join the discussion was Mr. Shalva Shalamberidze, the representative of the Pension Agency. He elaborated on the implemented changes within the agency, specifically pertaining to structural units and control mechanisms. Mr. Shalva emphasized that one of the most significant changes was the adoption of a centralized system for data leakage prevention, as well as the implementation of CM programmatic provisioning, change management, and incident management protocols.

ამის შემდგომ, პანელი დისკუსიის რეჟიმში გაგრძელდა. კითხვები დაისვა მოდერატორის მიერ რომელიც შეეხებოდა გამოწვევებს, რომლის წინაშეც კიბერუსაფრთხოების ეროვნული ასოცია

იდგა. პანელის მონაწილეებმა ისაუბრეს საკუთარი გამოცდილებების შესახებ ამ მიმართულებით. დისკუსიაში გამოიყო ძირითად საკითხები, ესენია: კრიტიკული სისტემის სუბიექტების გავრცელების გაფართოება და ინფორმაციული უსაფრთხოების ახალი კანონპროექტის შემუშავება. ასევე, გამოსვლის ბოლოს, პანელის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს საფრთხეებზე, რომლებიც საქართველოს აქვს ან მომავალში შეიძლება ჰქონდეს ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით.

During the discussion mode of the panel, the moderator posed questions regarding the challenges faced by the National Cyber Security Association. The panelists shared their experiences and insights on the topic. The main issues highlighted during the discussion included the expansion of critical system subject distribution and the development of a new draft law on information security. The participants also discussed the existing and potential threats that Georgia faces in terms of information security. These discussions aimed to shed light on the current state of cybersecurity and identify measures to address emerging challenges in the field.

IGF ფორუმის შემდეგი სასაუბრო თემა ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები იყო, რომელსაც მოდერატორი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის, კვლევების ცენტრის დირექტორი, ბატონმა ზვიად გაბისონია იყო. ის მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მოკლედ ისაუბრა ფორუმის მნიშვნელობაზე და პანელის სპიკერები წარადგინა.

The subsequent topic of discussion at the IGF Forum centered around the legal and ethical dimensions of artificial intelligence. Mr. Zviad Gabisonia, Director of the Research Center at the University of Business and Technology, took charge as the moderator. He extended a warm welcome to the audience, highlighting the significance of the forum, and proceeded to introduce the panel speakers.

მიხეილ გავაშელი

პირველი გამომსვლელი საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენელი, ბატონი მიხეილ გავაშელი იყო. მან ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის ჩართულობაზე ფინანსურ სექტორში და აღნიშნა, რომ მსგავსი მოდელები აადვილებს მონაცემების დამუშავებას და კლიენტებისთვის ეფექტური მომსახურების მიწოდებას. მეორეს მხრივ, მან აღნიშნა, რომ საჭიროა ასეთი მოდელების რეგულაცია და მონიტორინგი, რათა ყველა მომხმარებლისთვის იყოს გამჭვირვალე მისი მათი მუშაობის პრინციპები. ბატონმა მიხეილმა, ასევე ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე ქართულ საბანკო სექტორში და განაცხადა, რომ ყველა წამყვანი ბანკი, განსხვავებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, აქტიურად იყენებს მას სხვადასხვა ოპერაციებში.

Mikheil Gavasheli

The initial speaker in this session was Mr. Mikheil Gavasheli, the representative of the National Bank of Georgia. He discussed the integration of artificial intelligence in the financial sector, highlighting how such models streamline data processing and enhance customer service efficiency. However, he emphasized the importance of regulating and monitoring these models to ensure transparency and understanding of

their principles among all users. Mr. Mikheil also touched upon the utilization of artificial intelligence in the Georgian banking sector, stating that leading banks extensively employ it in various operations, unlike microfinance organizations.

გიორგი გიორგობიანი

პანელის შემდეგი გამომსვლელი, "ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული აპლიკაციები ყოველდღიურ ცხოვრებაში" უფროსი ინჟინერი, ბატონი გიორგი გიორგობიანი იყო. დასაწყისში, მან მოკლედ ისაუბრა ხელოვნური ინტელექტის მუშაობის პრინციპებზე. ამის შემდგომ, Genentech-ს საქმიანობა გააცნო საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 15-20 წელიწადში შესაძლებელი იქნება ხელოვნური ინტელექტისთვის იმხელა ინფორმაციის მიწოდება, რომ მან შეძლოს ადამიანის სისხლის ანალიზის შედეგის მიხედვით, სწორი დიაგნოზის დასმა და შესაბამისი მკურნალობის დანიშვნა.

Giorgi Giorgobiani

Following Mr. Mikheil Gavasheli, the next speaker on the panel was Mr. Giorgi Giorgobiani, a Senior Engineer specializing in "Artificial Intelligence-Based Applications in Everyday Life." He commenced his speech by providing a concise overview of the fundamental principles underlying artificial intelligence. Subsequently, he introduced the audience to Genentech's endeavors and emphasized that in the next 15-20 years, it will become feasible to furnish artificial intelligence with a substantial amount of information. This wealth of data will enable AI systems to accurately diagnose medical conditions and prescribe suitable treatments based on the results of human blood analyses.

თეონა ტურაშვილი

შემდეგი მონაწილე, IDFI-ის წარმომადგენელი, ქალბატონი თეონა ტურაშვილი იყო. გამოსვლის დასაწყისში, მისი ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც, საჯარო უწყებებიდან ყველაზე ხშირად, ხელოვნურ ინტელექტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებს. ამის შემდგომ, საერთაშორისო სტანდარტებზე განაგრძო საუბარი და აღნიშნა, რომ ამ კუთხით უნივერსალური პრინციპები და დეფინიცია ჯერჯერობით არ არსებობს. ევროკავშირის და ევროსაბჭოს მიერ ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, მან გამოყო რამოდენიმე სტანდარტი, რომლებზეც მუშაობა მიმდინარეობს. ესენია: გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ზიანისგან დაცვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სისტემის სარგებლიანობა, სანდოობა და სოლიდარობა.

Teona Turashvili

The next participant was Mrs. Teona Turashvili, representative of IDFI. At the beginning of his speech, he talked about the research conducted by his organization, according to which, among the public agencies, artificial intelligence is used most often by the Ministry of Internal Affairs of Georgia. After that, he continued talking about international standards and noted that there are no universal principles and definitions in this respect yet. Based on the research conducted by the European Union and the Council of Europe, he identified several standards that are being worked on. These are: hardship, fairness, protection from harm, privacy, system usefulness, reliability and solidarity.

პანელი შემდგომ დისკუსიის რეჟიმში გაგრძელდა. მონაწილეებმა ისაუბრეს ხელოვნური ინტელექტის ჯანდაცვის სფეროში გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე. განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა, AI-ს ჩარევა პაციენტისთვის დიაგნოზის დასმის ეტაპზე, ასევე რამდენად იქნება პერსონალური მონაცემები დაცული, მაშინ როდესაც ხელოვნურ ინტელექტს შესაძლოა წვდომა ჰქონდეს ისეთ ინფორმაციაზე, როგორიცაა ადამიანის გენეტიკური კოდი და სხვა პირადი ინფორმაციები.

დისკუსიის ერთ-ერთი თემა, ასევე იყო პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო იყენებს თავის საქმიანობის ფარგლებში. მოცემულ თემაზე ქალბატონმა თეონა ტურაშვილმა ისაუბრა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გააკეთა ანგარიში კამერების შემოწმების მიმართულებით და ამ მხრივ სტრუქტურაში ბევრი დარღვევა აღმოჩნდა. ქალბატონმა თეონამ ასევე განაცხადა, რომ მონაცემების შენახვა-დამუშავების კუთხით აუცილებელია არსებობდეს ნორმები, განსაკუთრებით საჯარო ორგანოებში, რადგან საზოგადოების ინტერესი მათ მიმართ ძალიან მაღალია. მისივე თქმით, ხელოვნურ ინტელექტს შსს აქტიურად იყენებს, ასევე, მისი დანერგვა იგეგმება საქართველოს პროკურატურასა და სხვადასხვა საჯარო სექტორში.

The panel discussion continued with participants discussing the advantages and disadvantages of utilizing artificial intelligence in healthcare. They delved into topics such as the role of AI in patient diagnosis and the potential implications for personal data protection. Concerns were raised regarding the access of AI to sensitive information such as genetic codes and other personal data, emphasizing the need for robust public safeguards.

Another topic of discussion revolved around the processing and protection of personal data within the activities of the Ministry of Internal Affairs. Ms. Teona Turashvili shared insights on this matter, highlighting a report by the State Inspector's Office that revealed numerous violations in the camera inspection process. Mrs. Teona stressed the importance of establishing norms for data storage and processing, particularly within public institutions due to the high public interest involved. She mentioned the active utilization of artificial intelligence by the Ministry of Internal Affairs and further plans for its implementation in the Prosecutor's Office of Georgia and various private sectors.

პანელის ბოლოს გაჟღერდა შეკითხვა ბატონ მიხეილ გავამელის მიმართულებით. როდესაც საქართველოს ეროვნული ბანკი აძლევს მითითებას კერძო ბანკებს, რა გარანტია მომხმარებელს, რომ მისი პირადი ინფორმაცია აუცილებლად იქნება დაცული და არის თუ არა რაიმე აუდიტი ამ მიმართულებით?

ბატონმა მიხეილმა აღნიშნულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ როდესაც ეროვნული ბანკი დებს რაიმე დებულებას, აკონტროლებს კიდევ მის შესრულებას სხვადასხვა გზებით. მისი თქმით, თუ ბანკი იყენებს რაიმე რთულ ხელოვნურ ინტელექტს, მაშინვე არ აქვს მისი სრულიად გამოყენების უფლება, რადგან უნდა მოხდეს მისი შესწავლა და მონიტორინგი. ასევე, არსებობს უფლებათა დაცვის სააგენტო, რომლის თანხმობის გარეშეც კომპანიები ვერ გამოიყენებენ პერსონალურ ინფორმაციებს.

At the conclusion of the panel, Mr. Mikheil Gavasheli addressed a question about the protection of personal information when the National Bank of Georgia provides instructions to private banks and whether there are audits in place to ensure compliance.

Mr. Mikheil responded by stating that when the National Bank issues provisions, it takes measures to oversee their implementation. If a bank intends to utilize complex artificial intelligence, it must undergo thorough study and monitoring before being granted full authorization. Moreover, there is a rights protection agency that regulates the use of personal information, and companies cannot access such data without obtaining consent from this agency. These measures aim to guarantee the protection of customer's personal information within the banking sector.

ფორუმის შემდეგი სასაუბრო თემა იყო დეზინფორმაცია სოციალურ ქსელებში, რომლის მოდერატორიც „ნეტგაზეთის“ რედაქტორი, ბატონი თაზო კურეიშვილი იყო. მან საზოგადოებას მოკლედ გააცნო სასაუბრო თემა და წარუდგინა სპიკერები. ხოლო, შესავალ სიტყვაში, მოკლედ მიმოიხილია რუსეთ-უკრაინის ომი და დეზინფორმაციის როლი აღნიშნულ პროცესებში. ამის შემდგომ სიტყვა გადასცა ქალბატონ თამარ კინწურაშვილს.

The subsequent discussion topic at the forum focused on disinformation in social networks, with Mr. Tazo Kureishvili, the editor of "Netgazeti," serving as the moderator. He provided a brief introduction to the topic and introduced the speakers. In his introductory speech, he briefly discussed the Russia-Ukraine war and the significance of disinformation in relation to these events. Following his remarks, he handed over the floor to Mrs. Tamar Kintsurashvili to deliver her speech.

თამარ კინწურაშვილი

“მედიის განვითარების ფონდის” აღმასრულებელმა დირექტორმა, ქალბატონმა თამარ კინწურაშვილმა, გამოსვლის დასაწყისში, ისაუბრა ფაქტების გადამოწმების მესამე მხარის პროგრამაზე, რომელსაც „ფესიბუქსზე“ დეზინფორმაციის აღმოსაჩენად იყენებენ. ასევე, აღნიშნა, რომ რთულია დააკვირდე თითოეული ადამიანის ქცევას ონლაინ სივრცეში, რადგან არ არსებობს სოციალური მონიტორინგის მექანიზმი. ამის შემდგომ, ისაუბრა რუსეთ-უკრაინის ომსა და იმ დეზინფორმაციებზე, რომლებსაც ოკუპანტი ქვეყანა იყენებდა გავლენების მოსაპოვებლად. გამოსვლის ბოლოს, ისაუბრა ინდივიდუალური ანგარიშების მიერ გავრელებული ინფორმაციებზე, რომელსაც კრემლის პროპაგანდისტები ხშირად იყენებენ. აღნიშნა, რომ ამ მხრივ მონიტორინგი უფრო რთულია, რადგან საქმე ეხება პერსონალური მონაცემების დაცვას.

Tamar Kintsurashvili

Mrs. Tamar Kintsurashvili, the executive director of the "Media Development Fund," began her speech by discussing the third-party fact-checking program employed by Facebook to identify disinformation. She highlighted the challenge of monitoring individual behavior in the online space due to the absence of a

social monitoring mechanism. She then turned her attention to the Russia-Ukraine war and the disinformation tactics employed by the occupying country to exert influence.

Towards the end of her speech, Mrs. Tamar addressed the issue of information leaked through individual accounts, which is often exploited by Kremlin propagandists. She emphasized that monitoring such instances is particularly challenging due to concerns related to the protection of personal data.

სოფიო გელავა

პანელის შემდეგი გამომსვლელი, ატლანტიკური საბჭოს DFRLab-ის მკვლევარი, ქალბატონი სოფიო გელავა იყო. მან ისაუბრა ატლანტიკურ საბჭოში „ფეისბუქთან“ თანამშრომლობაზე და ქცევაზე, რომლის მეშვეობითაც ვრცელდება დეზინფორმაცია აღნიშნულ პლატფორმაზე. ამის შემდგომ, აღნიშნა ე.წ. ფეიკ ექსპერტების პრობლემა საქართველოში, რომლებსაც კონკრეტული პოლიტიკური პარტიები იყენებენ საკუთარი მიზნებისთვის. ასევე, ისაუბრა 2019 წელს ფეისბუქის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე, ცრუ ანგარიშების შესახებ, რომლის უკანაც გარკვეული პოლიტიკური პარტიები იდგნენ. გამოსვლის ბოლოს, ქალბატონმა სოფიომ ისაუბრა მექანიზმებზე, რომლებსაც სოციალური ქსელები იყენებენ დეზინფორმაციასთან ბრძოლისთვის. ესენია: ფაქტების, დეზინფორმაციის და საინფორმაციო ოპერაციებს ანალიზი. ასევე, ანგარიშების დეაქტივაცია, რომელშიც „Facebook“, „twitter“ და „Youtube“ პლატფორმები არიან ჩართულები.

Sophio Gelava

The subsequent speaker on the panel was Ms. Sofia Gelava, a researcher from the Atlantic Council DFRLab. She discussed the collaboration between the Atlantic Council and Facebook, focusing on the behavior through which disinformation spreads on the platform. Ms. Sofia also addressed the issue of fake accounts in Georgia, highlighting how certain political parties utilize them for their own agendas. Furthermore, she mentioned Facebook's disclosure in 2019 regarding false reports and the involvement of specific social entities behind them. Towards the end of her speech, Ms. Sofia delved into the mechanisms employed by social networks to combat disinformation. These include fact-checking, analysis of disinformation and information operations, as well as the deactivation of accounts on platforms such as Facebook, Twitter, and YouTube.

ანტონ ვაჭარაძე

სესიის შემდეგი სპიკერი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მენეჯერისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი, ბატონი ანტონ ვაჭარაძე იყო. მან ისაუბრა, ისტორიული ფაქტების და ნარატივების გამოყენებაზე დეზინფორმაციის გავრცელების კუთხით. მან აღნიშნა, რომ კრემლი დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა იმ ადამიანებს, რომლებსაც მოუწიათ საბჭოთა კავშირის პერიოდში ცხოვრება და გარკვეული ემოციები აკავშირებდათ მასთან. გამოსვლის ბოლოს, ბატონმა ანტონმა, ისაუბრა საზოგადოებასთან ურთერთობის მარტივ ფორმაზე, როგორებიცაა

Instagram და TikTok პლათორმების გამოყენება, რათა მომხმარებლამდე მივიდეს სწორი ინფორმაცია და ამას არ დასჭირდეს დიდი დრო, რაც სჭირდება ხოლმე სტატიების და საარქივო მასალების დამუშავებას.

Anton Vacharadze

Mr. Anton Vacharadze, the head of the memory and disinformation research department at the Freedom of Information Development Institute (IDFI), took the floor as the next speaker. He focused on the utilization of historical facts and narratives as tools for disinformation. Mr. Anton highlighted how the Kremlin has long exploited individuals who lived during the Soviet Union, tapping into their emotional connections to that era. In concluding his speech, Mr. Anton emphasized the importance of establishing a simple and effective means of engaging with the public. He suggested leveraging platforms such as Instagram and TikTok to disseminate accurate information to users in a concise and accessible manner, considering that not everyone has the time or inclination to delve into extensive articles or archive materials.

